ხელშეკრულება N57

ქ.ხაშური 6 მაისი 2016 წელი

ერთი მხრივ **ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ **ინდ. მეწარმე გრიგოლ ხვედელიძე** (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

2016 წლის 7-8 მაისს საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის ფესტივალზე „იპოვე ვარსკვლავი შენი", ხაშურის სამუსიკო მოსწავლეების ტრანსპორტირება CPV:60100000-ის საფუძველზე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 400 ლარს (ოთხასი ლარი)

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე

4.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური-თბილისი.

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 7-8 მაისი

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.1%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულებეს ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 6 ივნისამდე

შემსყიდველი ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება	მიმწოდებელი ინდ. მეწარმე გრიგოლ ხვედელიძე
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი	თბილისი, წერეთლის გამზ. N79 ბინა5
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070 ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	საიდენტეიფიკაციო კოდი 57001020084 ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE66LB0112151053206000
გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე	ინდ. მეწარმე გრიგოლ ხვედელიძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ხაშური 10 მაისი 2016 წელი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე, მეორე მხრივ ი/მ **გრიგოლ ხვედელიძე**, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ **2016** წლის **6** მაისს დადებული ხელშეკრულება **N57**ის საფუძველზე, მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა ჩაიბარა **400** (ოთხასი ლარი) ლარის ღირებულების სატრანსპორტო მომსახურება, 2016 წლის 7-8 მაისს საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის ფესტივალზე „იპოვე ვარსკვლავი შენი", ხაშურის სამუსიკო მოსწავლეების ტრანსპორტირება.

მიიღო

გიორგი ბოლოკაძე

ჩააბარა

გრიგოლ ხვედელიძე